

19-09-2023 წ.


გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის 21-ე და 22-ე პუნქტებით („კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ³-ზე მეტია“; „5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია“) და II დანართის 9.13 ქვეპუნქტით (ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა.) საფუძველზე გაიცა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზაბავრასა და დაბა ასპინძას ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარზე 7.0 მეგავატი სიმძლავრის საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის „ასპინძა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის დასკვნა N 18 (31/07/2023).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის და გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 31 ივლისის N 365/ს წერილის საფუძველზე შემუშავებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზაბავრასა და დაბა ასპინძას ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარზე 7.0 მეგავატი სიმძლავრის საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის „ასპინძა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზაბავრასა და დაბა ასპინძას ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარზე 7.0 მეგავატი სიმძლავრის საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის „ასპინძა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ)-ის ანგარიშის დანართების ნაბეჭდი ვერსიები - 1 ეგზემპლარი;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) არატექნიკური ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
4. საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით და ანგარიშის და დანართების ელ/ვერსია;



5. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებთან ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების
2 პროექტი - 2-2 ეგზემპლარი;

პატივისცემით,

შპს „ჰიდრო პ. ჯორჯია“-ს დირექტორი

რუსუდან გიორგაძე

